ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4516624

ნომერი: AR1680693

თარიღი : 11.05.2019

გაცემის თარიღი : 27.05.2019

გაცნობის თარიღი : 27.05.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზაბავრის , ჩიხი I , N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით კვარაცხელია პ/ნ 01015010517
- თბილისი, ოქროყანა, ნიკო ბურის 4

ორგანიზაცია:
- შპს 'სოლიდ დეველოპმენტი' კოდი: 401970417

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 11 მაისის #AR1680693 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ხიზაბავრის ჩიხი I, #7, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #01.11.12.018.246 მიწის ნაკვეთზე დადგენილი განაშენიანების რეგულირების ხაზის (უკანა ეზოსთვის) გაუქმების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 მაისის №3176865 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, ხიზაბავრის ჩიხი I, #7-ში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #01.11.12.018.239 (2314 კვ.მ) მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები და სამსახურის მიერ მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე განისაზღვრა სამეზობლო მიჯნებიდან.

№3898578 ბრძანებით შევიდა ცვლილება №3176865 ბრძანებაში და საზოგადოებრივი საზღვარი დაუდგინდა ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან, ასევე შეიცვალა ჩანაწერი „მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე: განისაზღვროს სამეზობლო მიჯნებიდან“, ჩანაწერით: ,,მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე: განისაზღვროს საზოგადებრივი საზღვრებიდან“; კანონმდებლობის შესაბამისად საზოგადობრივი სივრცის მოპირდაპირე მხარეს დაუდგინდა განაშენიანების რეგულირების ხაზი (უკანა ეზო).

წინამდებარე განაცხადით, მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 მაისის №3176865 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა. კერძოდ სამსახურის მიერ განსაზღვრული განაშენიანების რეგულირების ხაზის (უკანა ეზოს) მოხსნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თქვენ დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთისთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგინდა საკადასტრო საზღვრიდან 3.0 მეტრ მანძილზე განაშენიანების რეგულირების ხაზი, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა განაშენიანების რეგულირების ხაზის (უკანა ეზოს) მოხსნასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.